ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის

06.08. 2014 წლის №130/01-01 ბრძანების

დანართი N1

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდიის დანიშვნის, სტიპენდიანტის გამოვლენისა და სტიპენდიის მინიჭების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ტექსტში შემდგომ - ,,უნივერსიტეტი“ ან ,,დაწესებულება“) საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას სახელობის სტიპენდია (შემდგომში - ,,სტიპენდია“) ინიშნება საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით და საქართველოს პრეზიდენტსა და უნივერსიტეტს შორის 2014 წლის 22 მაისს დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით დასახული ამოცანების ფარგლებში.
2. სტიპენდიის დაწესების მიზანია ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სფეროში ქართული ფილოლოგიის საგანმანათლებლო მიმართულების ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტთა (შემდგომ ტექსტში – ,,ბაკალავრიატის სტუდენტი“, ,,მაგისტრატურის სტუდენტი“, ,,დოქტორანტურის სტუდენტი“, ერთად მოხსენიებულნი როგორც ,,სტუდენტი“) წახალისება .
3. სტიპენდია ენიჭება უნივერსიტეტის ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის თითო სტუდენტს ყოველწლიურად, ერთი აკადემიური წლის ვადით.

მუხლი 2. სტიპენდიის მინიჭების პირობები

1. სტიპენდია ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში (არაუგვიანეს 5 ოქტომბრისა) გაიცემა (ინიშნება) წინა სასწავლო წლის შედეგების გათვალისწინებით, შერჩევის საფუძველზე.
2. სტიპენდია არ გაიცემა:

ა) ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის პირველი სასწავლო წლის სტუდენტზე;

ბ) სტუდენტზე, რომელსაც უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურზე გავლილი აქვს ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულ პერიოდზე მეტი;

გ) წინა სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში მობილობით გადმოსულ სტუდენტზე;

დ) წინა სასწავლო წლის შემოდგომის ან გაზაფხულის სემესტრში სტატუსშეჩერებულ სტუდენტზე;

ე) სტიპენდიის დანიშვნის მომენტისთვის სხვა სტიპენდიის/საუნივერსიტეტო დაფინანსების მქონე სტუდენტზე;

ვ) სტიპენდიის მიღების სასწავლო წელს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/შეჩერების შემთხვევაში.

მუხლი 3. სტიპენდიანტის შერჩევის წესი

1. სტიპენდიით დაფინანსებისათვის კანდიდატის შერჩევას ახორციელებს სტიპენდიის მიმნიჭებელი კომისია (შემდგომ ტექსტში - ,,კომისია").
2. კომისია იქმნება რექტორის ბრძანებით, არანაკლებ 7 წევრის შემადგენლობით, შესაბამისი სასწავლო-სამეცნიერო მიმართულების სპეციალისტებისგან.
3. სტიპენდიით დაფინანსებისათვის ბაკალავრიატის და მაგისტრატურის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება აკადემიური მოსწრებით, რომელიც გამოითვლება სტუდენტის მიერ წინა სასწავლო წელს სასწავლო კურსებში მიღებული (არანაკლებ 60 კრედიტი) შეფასების საშუალო არითმეტიკულის გამოანგარიშებით.
4. ბაკალავრიატის ან/და მაგისტრატურის ორი ან მეტი ერთი და იმავე საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში, კომისიის მიერ სტიპენდიანტის შერჩევა განხორციელდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სასწავლო წელს გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სასწავლო წელს ჩატარებული კონფერენციები).

გ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა.

5. საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ვალდებულია კომისიას მიაწოდოს ინფორმაცია ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საუკეთესო აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების შესახებ.

6. კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ამ მუხლის მე-4 პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებთან შესაბამისობისა და სტიპენდიის გაცემის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

7. სტიპენდიით დაფინანსებისათვის დოქტორანტურის სტუდენტთა შორის შესარჩევ კანდიდატთა შეფასება განხორციელდება მათ მიერ კომისიის სახელზე წარმოდგენილი სამოტივაციო წერილების საფუძველზე და ამ მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სამოტივაციო წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 1 გვერდს, 12 ზომის მოქნე შრიფტ ,,Sylfaen"-ში ნაბეჭდი სახით, სტრიქონებს შორის დაშორება უნდა იყოს 1,5.

8. დოქტორანტურის სტუდენტთაგან სტიპენდიანტის შერჩევა ხორციელდება კომისიის სამოტივაციო წერილისა და შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება (წინა სასწავლო წელს გამოქვეყნებული/დასაბეჭდად გადაცემული ნაშრომები).

ბ) სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა (წინა სასწავლო წელს ჩატარებული კონფერენციები).

გ) უნივერსიტეტის გაცვლით და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროგრამებში მონაწილეობა.

9. დოქტორანტურის სტუდენტთაგან სტიპენდიის მიღებაზე კანდიდატების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, სტიპენდიანტის შერჩევის თაობაზე დასკვნას ამზადებს კომისია.

10. წინამდებარე წესის მოთხოვნათა შესრულების მიზნით კომისია უფლებამოსილია დაადგინოს ყველა ის აუცილებელი პროცედურული საკითხი, რაც განსაზღვრული არ არის ამ წესით.

მუხლი 4. ინფორმაცია სტიპენდიის მინიჭების შესახებ

1. ინფორმაცია გამოვლენილი სტიპენდიანტების შესახებ, არაუგვიანეს ყოველი წლის 10 ოქტომბრისა ეგზავნება საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციას.

2. გამოვლენილი სტიპენდიანტების შესახებ ინფორმაციის მიღების შემდგომ 1 წლის სტიპენდიისათვის განკუთვნილი თანხა სრულად ერიცხება უნივერსიტეტს, რათა უზრუნველყოფილი იქნას სტიპენდიანტებისათვის შესაბამისი ოდენობის სტიპენდიის ყოველთვიური ჩარიცხვა.

3. სტიპენდია გაიცემა შესაბამისი სასწავლო წლის (10 თვის) განმავლობაში თვეში ბაკალავრზე 300 (სამასი), მაგისტრანტზე 300 (სამასი), ხოლო დოქტორანტზე 400 (ოთხასი) ლარის ოდენობით.